სხდომის ოქმი N1

სხდომის თარიღი 31.01.20.

ჩატარების ადგილი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სხდომას ესწრებოდნენ:

ეკატერინე ტიკარაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

ზაზა ბოხუა - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი ჭავჭავაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ეკა ადამია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვისა პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ჯგუფის წევრი;

გვანცა გასვიანი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

ბექა ჯაყელი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

თინათინ ხარძიანი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

მაია ნიკოლეიშვილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

საქართველოში კორონავირუსის (2019 Novel Coronavirus) მართვის საკოორდინაციო კომისია

ანა დარახველიძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

ნინო მამალაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/ საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

ავთანდილ თალაკვაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორი, კომისიის წევრი;

ამირან გამყრელიძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, კომისიის წევრი;

პაატა იმნაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში, კომისიის წევრი;

ხათუნა ზახაშვილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ანა კასრაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებზე მზადყოფნის და რეაგირების სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი.

ასევე, **მოწვეული წევრები,** „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164 განკარგულების მიხედვით, შესაბამისი უწყებებიდან:

ალექსანდრე ღვთისიაშვილი - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;

გურამ დავითაშვილი - შსს-ს საპტრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრების მართვის და კოორდინირების მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოში კორონავირუსის (2019 Novel Coronavirus) მართვის საკოორდინაციო კომისია

ალექსანდრე გაჩეჩილაძე - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

მამუკა ჯანგულაშვილი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის უფროსი;

ელგუჯა ბერნაძე -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

განსახილველი საკითხები:

ამ ეტაპისთვის კორონავირუსის (2019-nCoV) შესაძლო გავრცელებასთან დაკავშირებული სიტუაციური ანალიზი;

რისკების შეფასება;

შესაბამისი ღონისძიებების გატარებისთვის საჭირო ადმინისტრაციული საკითხები.

კომისიის სხდომა გახსნა მინისტრმა, რომელმაც შეაფასა არსებული მდგომარეობა და სთხოვა ყველა პასუხისმგებელ უწყებას, წარმოედგინათ განხორციელებული აქტივობები, ასევე, პროცესში წამოჭრილი პრობლემები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბატონმა ამირან გამყრელიძემ წარმოადგინა მსოფლიო მიმოხილვა, ავადობის მაჩვენებლები - დადასტურებული შემთხვევა სულ 7818, მათ შორის ჩინეთში - 7736, ხოლო 82 შემთხვევა მსოფლიოს 18 ქვეყანაში. ასევე, ისაუბრა მიმდინარე წლის 30 იანვარს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩამოყალიბებულ ახალ რეკომენდაციებზე, რის მიხედვითაც, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად გამოაცხადეს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განსაკუთრებული მდგომარეობა, ამ ეტაპზე არანაირი დამატებითი შეზღუდვა ქვეყანაში შემოსვლის მსურველ მგზავრთათვის არ არის მიზანშეწონილი, მათ შორის არც ჩინეთიდან სხვა ქვეყნის მეშვეობით შემოსულ მგზავრთათვის.

ამის შემდეგ, ბატონ ალექსანდრე ღვთისიაშვილთან და ბატონ გურამ დავითაშვილთან ერთად განხილულ იქნა ყველა საჭირო საკითხი, სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე განსახორციელებელი ღონისძიებების შეუფერხებლად გატარების შესახებ, ხოლო, ბატონ ალექსანდრე გაჩეჩილაძეს ეთხოვა შესაბამისი ხელშეწყობა მგზავრთა ინფორმირებულობის კუთხით გასატარებელი შესაძლო ღონისძიებების განხორციელებაში.

სხდომაზე მთავარ საკითხად ბატონი ავთანდილ თალაკვაძის მიერ გამოტანილ იქნა კორონავირუსის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის, შემთხვევათა გამოვლენის, ეპიდსიტუაციის ზოგადი მონიტორინგის, სწრაფი და ადექვატური რეაგირების, მიზნით, აუცილებელი მარაგის შესყიდვის აუცილებლობის საკითხი და ქვეყნის საჭიროებებისა და ასევე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შესაბამისი რეკომენდაციის გათვალისწინებით

საქართველოში კორონავირუსის (2019 Novel Coronavirus) მართვის საკოორდინაციო კომისია მომზადებული ამ ეტაპზე დაუყოვნებლივ შესასყიდი მომსახურების/საქონლის ინვენტარიზაცია.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, „საქართველოში ახალი კორონავირუსის აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადებების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164 განკარგულების საფუძველზე გადაუდებლად იქნას განხორციელებული შესყიდვა, შემდეგი ნუსხის შესაბამისად:

პერსონალური დაცვის სათვალე	ცალი	5800
სამედიცინო სახის დამცავი საშუალება (ფარი)	ცალი	800
პერსონალური ბიოლოგიური დაცვის კომბინიზონი	კოპლექტი	5500
პერსონალური დაცვის ნიღაბი (N 95/P2/P3)	ცალი	100000
მარტივი ქირურგიული ნიღაბი სამშრიანი	ცალი	500000
საიზოლაციო სატრანსპორტო კაფსულა ბიოსაიზოლაციო	კოპლექტი	15
ინფექციური პაციენტების საიზოლაციო ბოქსირებული კარვის კომპლექტი, კარვის დამაკავშირებელი კომპონენტიანი კაფსულა (იზოლატორი)	კოპლექტი კაფსულა	4 4
ხელის სადეზინფექციო საშუალებება	ცალი (1 ლიტრიან შეფუთვაში ჩამოსასხმელი სისტემით)	1000
ხელთათმანი არასტერილური	წყვილი	500000
ხელთათმანი ნიტრილის	წყვილი	5500
სატრანსპორტო ხელოვნული სუნთქვის აპარატი	ცალი	10
უკონტაქტო დისტანციური ელექტროთერმომეტრი	ცალი	100
ბახილი ბიოლოგიური დაცვით	წყვილი	5500

სამედიცინო ნარჩენების მართვის მომსახურების შესყიდვა		(24 სასაზღვრო პუნქტზე)
სკრინიგისა და პრევენციის უზრუნველსაყოფი შესაბამისი მომსახურების შესყიდვა		

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაევალა ბატონ ბექა ჯაყელს მიღებული გადაწყვეტილებების (შესყიდვა) სასწრაფოდ განხორციელება.

ამასთან, ყველა უწყებას მიეცა მითითება, გაგრძელდეს თითოეულის პასუხისმგებლობის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების გატარების გაგრძელება, სამინისტროს მიერ ახალი მითითებების წარმოდგენამდე.

კომისიის თავმჯდომარე:

ეკატერინე ტიკარაძე

კომისიის მდივანი:

გვანცა გასვიანი.